პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

ხუთშაბათი, 19 ივნისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

# ტრიბუნა

№ 527 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 85

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც· ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## კომუნისტური ინტერნაციონალის მე-5-ე კონგრესი.

17 ივნისს ქ. მოსკოვში გაიხსნა კომუნისტური ინტერნაციონალის მე-5-ე კონგრესი.

სულ ხუთი წელია, რაც დაარსდა კომუნისტური ინტერნაციონალი. ამ მცირე ხნის განმავლობაში ის გაიზარდა ვეებერთელა, ძლიერ ორგანიზაციად, რომლის რიგებში ითვლება მრავალი მილიონები რევოლიუციონური მუშების და აღმოსავლეთის დაჩაგრული მასების.

დღეს იშვიათია ისეთი სახელმწიფო, სადაც არ მოიპოვებოდეს კომინტერნის შტო—კომუნისტური პარტია.

კომუნისტური მოძრაობა ცეცხლებასავით მოედო ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს. ბურჟუაზია და მუშათა კლასის გამცემლები ყვითელი სოციალისტები გაშმაგებით ებრძვიან კომუნისტურ პარტიებს და მუშების ყოველგვარ რევოლიუციონურ მოძრაობას. მაგრამ მიუხედავათ მათი ცდებისა კომუნისტური მოძრაობა დღითი დღე ფართოვდება, ღრმად იკიდებს ფესვებს პროლეტარულ მასებში და განადგურებით ემუქრება ბურჟუაზიის ბატონობას.

თუ ხუთი წლის უკან, როდესაც შეიკრიბა მესამე ინტერნაციონალის პირველი ყრილობა მთელ მსოფლიოში მოიპოვებოდა კომუნისტური პარტიების მცირე რიცხვი რომლებსაც არ ქონდა დიდი გავლენა და ავტორიტეტი ფართო მშრომელთა მასებში და რომლებიც ორგანიზაციულად არ იყვნენ საკმაოდ ჩამოყალიბებული, დღეს კი თითქმის ყველა სახელმწიფოებში არსებობს კომპარტიის ძლიერი ორგანიზაციები, როგორც გერმანიაში, საფრანგეთში, ჩეხო-სლოვაკიაში, ბალკანეთში და სხვა, რომლებიც სარგებლობენ ნდობით და სიყვარულით მრავალ მილიონიანი პროლეტარულ მასებისა.

ამ ხუთი წლის განმავლობაში კომინტერნმა ჩაატარა უდიდესი მუშაობა.

განსაკუთრებით მდიდარია კომუნისტური ძალების დემონსტრაციის მხრივ უკანასკნელი წელი.

მე-5-ე კონგრესის დღის წესრიგში სდგას მეტად სერიოზული და დიდი მნიშვნელობის საკითხები საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა.

ყრილობა გაუკეთებს ჯამს წარსული წლის მუშაობას, შესაფერისად შეაფასებს მას და გამოიტანს სათანადო დასკვნებს. ყრილობა გაარჩევს აგრეთვე ისეთ კითხვებს, როგორც მთლიანი მუშათა ფრონტის საკითხია; განიხილავს ეროვნულ საკითხს, პროფკავშირებში მუშაობის ტაქტიკას, იმპერიალისტურ ჯარში რევოლიუციონურ პროპაგანდას და სხვა.

კომინტერნის მეხუთე კონგრესი ეს პირველი კონგრესია, რომელიც ჩატარდება მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობის გარეშე.

მაგრამ მე-5-ე კონგრესის პირველი სიტყვა ითქვა ამხ. ლენინზე. ამით კი მე-5-ე კონგრესმა ამცნო მთელ მშრომელთა მსოფლიოს, რომ ის ერთგული რჩება თავისი ბელადის იდეალებისადმი და იმუშავებს ისე, როგორც ამას მოითხოვს ლენინიზმი.

## კომინტერნის მეხუთე კონგრესის გახსნა

### პირველი სიტყვა ამხ. ლენინის და ბლაგოევის ხსოვნას.

17 ივნის დიდ თეატრში მოსკოვის პროლეტარიატის წარმომადგენლების მონაწილეობით გაიხსნა კომინტერნის მე-5-ე კონგრესი.

კონგრესის წევრებმა ამხ. კოლაროვის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივისცეს ამხ. ლენინის ხსოვნას. ორკესტრმა შეასრულა სამგლოვიარო ჰიმნი.

შემდეგ კონგრესმა პატივი სცა ფეხზე ადგომით გარდაცვალებულ, ბულგარეთის კომპარტიის დამაარსებელს, ამხ. ბლაგოევს.

### პრეზიდიუმის არჩევნები.

კონგრესმა დიდის ზეიმით აირჩია პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ—ამხ. ზინოვიევი, წევრებად—კლარა ცეტკინა, რკპ-დან ამხ. ამხ. სტალინი, ბუხარინი, ტროცკი, გერმანიის კომპარტიიდან—ბრაუნი და გერჰარდტი, საფრანგეთის კომპარტიიდან ტრენტი და სელიე, იტალიის კომპარტიიდან—ბოდრიგი, ჩეხო-სლოვაკიიდან—შმერალი და მუნა, ბალკანეთიდან—ამხ. კოლაროვი, პოლონეთიდან—კრაევსკი, იაპონიიდან—კატაიამა, ინდოეთიდან—როი, ინგლისიდან—სტიუარტი, ამერიკიდან—დენი.

### მისალმება.

შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ზინოვიევმა, რომელსაც მხურვალე ტაშით შეხვდენ. რკპ-ს ცეკას სახელით კონგრესს მიესალმა ამხ. რიკოვი, პროფინტერნის სახელით—ამხ. ლოზოვსკი. შემდეგ გამოვიდენ სხვა და სხვა ორგანიზაციების და ახალგაზრდათა წარმომადგენლები.

## საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობა.

### საუბარი ამხ. ლოზოვსკისთან.

როსტას თანამშრომელთან საუბარში საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ ამხ. ლოზოვსკიმ განაცხადა:

საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში დაიწყო შესამჩნევი ცვლილება მიმდინარე წლის დასაწყისს. ამას მოწმობს ის დიდი გაფიცვები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ინგლისსა და გერმანიაში და აგრეთვე მუშათა მოძრაობის გამოცოცხლება საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში, ეს ცვლილებები აყენებს რევოლიუციონურ პროფკავშირების წინაშე ახალ საკითხების მთელ რიგს და უკარნახებს მას ბრძოლის ახალი ხომების გამომუშავებას, რომელთა საშუალებით შეიძლებოდეს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლა და რეფორმიზმის დამარცხება.

ინგლისის გაფიცვები, საფრანგეთის მდგომარეობა და ბევრი სხვა გვიმტკიცებს, რომ ამ ქვეყნებში რეფორმიზმი უკვე სულს ღაფავს.

ამსტერდამის ინტერნაციონალის პოლიტიკა თანდათან ცხადი ხდება და გვევლინება ჩვენ ფაშისტურ-შტრეიკბრეხერულ პოლიტიკად. ამან შეჰქმნა და გააძლიერა მარცხენა ფრთა.

ჩვენ ენერგიულად უნდა ვიბრძოლოთ პროფესიონალურ მოძრაობის ერთიანობისათვის.

### საკითხი ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების შესახებ.

ძირითად საკითხს—ამბობს ამხ. ლოზოვსკი—წარმოადგენს აგრეთვე საკითხი ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების შესახებ.

ხსენებული კომიტეტები ევროპაში მხოლოდ პირველ ჩანასახს წარმოადგენენ.

მუშათა მასების გაერთიანება ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ირგვლივ შეადგენს ერთ-ერთ ძირითად ამოცანას პროფინტერნისას.

ნაციონალური საკითხი პროფესიონალურ მოძრაობაში ფაქტიურად კიდევ გადაუჭრელია. გაბატონებულ ეროვნებათა პროფკავშირებმა უნდა იხმარონ დიდი ღონის-ძიება, რათა მოსპობილ იქნას ეროვნებათა შორის შუღლი. ამის მიღწევა ადვილია, თუ მუშები დაამტკიცებენ თავის ინტერნაციონალიზმს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც.

### საკითხი გლეხობისა და პროფკავშირებზე.

საკითხი გლეხობისა და პროფკავშირებზე—ამბობს ამხ. ლოზოვსკი—პირველად დასმულ იქნა პროფკავშირთა ყრილობაზე გლეხურ ინტერნაციონალის წარმოშობასთან დაკავშირებით. საჭიროა მოხდენილი გზა გლეხთა რევოლიუციონურ ქალაქის ინტერესებში ჩასაბმელად. აქ დიდ როლს ითამაშებენ სასოფლო მეურნეობის მუშები. სასოფლო სამეურნეო მუშათა კავშირი უნდა გახდეს შემაკავშირებელი ცენტრი ყველა უკმაყოფილო გლეხთა მოსახლეობისა.

## საფრანგეთის ახალი მთავრობა

### ძველი გზით.

ახალმა კაბინეტმა გამოიმუშავა მთავრობის დეკლარაციის ტექსტი, რომელსაც წარუდგენს დუმერგს წინასწარ განსახილავად.

დეკლარაციის მთავარი მუხლები არის შემდეგი: საყოველთაო ამნისტია, რომელიც არ ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფოს მოღალატეებზე; გაფიცვისათვის დათხოვნილ რკინის გზელთა უფლებების აღდგენა; საფრანგეთის ელჩთა გაწვევა ვატიკანში; სასტიკი კანონის ხმარება რელიგიურ კავშირების შესახებ; სამხედრო ხარჯების შემცირება; დეკრეტების შეცვლა განსაკუთრებულ უფლებების შესახებ, რომელიც გამოცემული იყო პუანკარეს მთავრობის მიერ; ასანთის მონოპოლიის აღდგენა; ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობის სისწორით გამოკვლევა საბიუჯეტო წონასწორობის დამყარების მიზნით; გაიძვერობის მოსპობა საგადასახადო საქმეში; 8 საათის სამუშაო დღის კანონის დაცვა; მუშათა პროფესიონალურ უფლებათა დაცვა; სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფესიონალურ უფლებების ცნობა; ადმინისტრატიული რეფორმები.

საგარეო პოლიტიკაში: მშვიდობიანობის განმტკიცება ერთა შორის შეთანხმების დამყარების გზით; ერთა ლიგის როლის გაფართოება; ნორმალური ურთიერთობის დამყარება საბჭოთა კავშირთან; ექსპერტთა მოხსენებების მიღება; რურის ოკუპაციის გაგრძელება, სანამ გერმანია არ გადასცემს საერთაშორისო ორგანიზაციებს ექსპერტების მიერ გათვალისწინებულ საწინდოებს; კონტროლის განახლება გერმანიის განიარაღების შესახებ.

## მეგობრული ურთიერთობა ინგლისთან.

ერიო მიემგზავრება ლონდონში ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

## ერიო და პუანკარე ორივე ერთი ხილია.

### გერმანიის პრესა საფრანგეთის ახალი კაბინეტის შესახებ.

გენერალ ნოლლეს (ანტანტის სამხედრო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე) სამხედრო მინისტრად დანიშვნამ ერიოს მთავრობაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიის საზოგადოებრივ წრეებში. გერმანიის მემარჯვენე პრესა სიხარულით აღნიშნავს, რომ ერიოს პოლიტიკა პუანკარეს პოლიტიკის გაგრძელება იქნება.

გაზეთი „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“-ი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნოლლე ხელმძღვანელ როლს შეასრულებს საფრანგეთის ახალ მთავრობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერიოს დეკლარაცია დეპუტატთა პალატაში.

დეპუტატთა პალატაში გამოცხადებულ იქნა ახალი კაბინეტის დეკლარაცია,

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ რურის ევაკუაციას არ მოახდენენ და გერმანიის განიარაღების საკითხი რჩება თავის წინანდელ ძალაში. განიარაღების მისაღწევად განსაკუთრებითი მიმართვა გაეგზავნება ერთა ლიგას. 8 საათის სამუშაო დღე ძალაში დარჩება. ცნობილი იქნება სინდიკატების უფლება. მოკლე დროში შემოღებული იქნება კანონი სოციალურ უზრუნველყოფის შესახებ.

## ინგლისი

### მაკდონალდის სიტყვა.

მაკდონალდმა თემთა პალატაში შეკითხვებზე განაცხადა, რომ ახალი არჩევნები არ მოხდება პარლამენტის შემოდგომის სხდომამდეო.

ინგლის საბჭოთა კონფერენციის შესახებ მაკდონალდმა განაცხადა, რომ ის გააკეთებს პარლამენტში დაწვრილებითი მოხსენებას, როცა მოლაპარაკება მიაღწევს იმ წერტილს, რომელიც აუცილებელს გახდის მის გამოსვლას მოხსენებით.

### საერთაშორისო ჩვეულებათა უხეში დარღვევა.

მექსიკის მთავრობის მიერ ინგლისის აგენტის გამოძევება, მაკდონალდის განცხადებით საერთაშორისო უფლებათა უხეში დარღვევაა.

### „მუშათა" მინისტრი რკინისგზელთა გაფიცვების შესახებ.

ინგლისის მუშათა მთავრობის მინისტრმა კლაინსმა დაჰგმო რკინისგზელთა გაფიცვები, რასაც უწოდა უპასუხისმგებლო უმცირესობის მოქმედება, რამაც გამოიწვია ინგლისის მრეწველობის რღვევაო.

### მუშები მოტყუვილებული არიან ბურჟუაზიის მიერ.

მემანქანეთა პროფკავშირების გენერალურ მდივანმა ბრომლეიმ განაცხადა ბურჟუაზიამ დაარღვია ომის დროს მუშებზე მიცემული დაპირებები და არამც თუ აძლევს მათ რაც ერგებათ, არამედ სცდილობს მათი ცხოვრების გაუარესებას.

თუ მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. ახლო მომავალში ჩვენ მოგვიხდება ახალი ბრძოლა.

## იტალია.

### მატეოტის მოკვლის გარშემო.

მუსოლინმა მინისტრთა საბჭოში განაცხადა, რომ სასამართლო უწყებას ხელთ აქვს მასალების მთელი რიგი მატეოტის მკვლელ. შესახებ.

### იტალიის 6 მინისტრის გადადგომა.

მატეოტის მკვლელობის საქმე ფართე ხასიათს იღებს იტალიის საზოგადოებაში. გადადგა ექვსი მინისტრი. შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა კოლონიების მინისტრი ფედერცონი.

გაზეთების ცნობით მთავარი დამნაშავეები, გაიქცენ საზღვარ გარედ.

ამ საქმეზე დაპატიმრებულია ჯერჯერობით 80 კაცი.

ფილიპელი კვლავ დააპატიმრეს გენუაში. ავტომობილის შოფერი, რომლითაც გატაცებულ იქნა მატეოტი, თვით გამოცხადდა ხელისუფლებასთან.

## კომუნისტ-კოოპერატორთა მე-2-ე კონფერენცია.

### ქალის როლი კოოპერაციულ მოძრაობაში.

კომუნისტ-კოოპერატორთა მეორე კონფერენციაზე ავსტრიის დელეგატი ქალი შტრემერი შეეხო ქალის როლს კოოპერაციულ მოძრაობაში და აღნიშნა, რომ საჭიროა ქალების აქტიური მონაწილეობა საკოოპერაციო მუშაობაში. ქალებმა უნდა მოითხოვონ საზოგადო სამზარეულოების, სამრეცხაოების და ბავშვთა აღსაზრდელი სახლების შექმნა.

### კოოპერაციის საერთაშორისო ამოცანები.

კოოპერაციის საერთაშორისო ამოცანების შესახებ კონფერენცია აღნიშნავს მხოლოდ მჭიდრო კონტაქტის გზით პროფკავშირთა და კოოპერატიულ ორგანიზაციებს შეუძლია გახდენ კლასიური შეკავშირების სასარგებლო სკოლად. კომუნისტ-კოოპერატორებმა უნდა აწარმოონ ენერგიული ბრძოლა ფაშიზმის, მილიტარიზმისა და ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ.

### კოოპერატორთა მანიფესტი.

კომუნისტ-კოოპერატორების მანიფესტში კონფერენცია აღნიშნავს, რომ კაპიტალის შემოტევამ დიდი ზიანი მიაყენა საერთაშორისო კოოპერაციას და რამოდენიმე წლით უკან დაქანა ის. ყოველ შეგნებულ წევრისათვის დღეს ცხადია, რომ კაპიტალისტ. წესწყობილების შიგნით შეუძლებელია მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება. აქ კოოპერაციამ უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში.

## საბჭოთა გემი ინგლისის ზღვებში

ინგლისის საადმირალომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ საბჭოთა გემი „ვოროვსკი" ჩქარა მივა ინგლისის ნავთსადგურებში და განკარგულება გასცა მიენიჭოს გემს ჩვეულებრივი შეღავათები.

## საბჭოთა-იაპონიის საკითხი მოგვარდება.

იაპონიის ელჩი პეკინში იოშიზავა მიემგზავრება ტოკიოში, რათა დაწვრილებითი მოხსენება გაუკეთოს ახალ მთავრობას საბჭოთა-იაპონიის მოლაპარაკების შესახებ.

იაპონიის საგარეო სამინისტროს წრეებში ფიქრობენ, რომ ეს მოწმობს კატოს კაბინეტის სურვილს დაჩქარებით მოაგვაროს საბჭოთა იაპონიის საკითხი.

## დანია ჩქარა იცნობს სსრკ-ს.

მთავრდება ლიტვინოვსა და დანიის წარმომადგენელს შორის მოლაპარაკება. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ მოელიან საბჭოთა კავშირის საჩქაროდ ცნობას დანიის მიერ.

## საბჭოთა კავშირში.

### სვერდლოვის უნივერსიტეტის კურს დამთავრებულთა პირველი გამოშვება.

16 ივნისს მოსკოვის დიდ თეატრში გამართულ იქნა საზეიმო საღამო სვერდლოვის უნივერსიტეტის კურს დამთავრებულთა გამოშვების აღსანიშნავად. სიტყვები სთქვეს რექტორმა ამხ. ლიადოვმა და ამხ. ბუხარინმა, უკანასკნელი მიესალმა სვერდლოველებს და შეეხო მათი სოფელთან დაახლოების, საბჭოთა საზოგადოების შექმნის და სხვა ამოცანებს.

წაკითხული იქნა მარიამ ილიას ასულის ულიანოვას წერილი, რომელიც ვერ დაესწრო საღამოს ავადმყოფობის გამო. წერილში აღნიშნული იყო რომ ლენინი დიდ მნიშვნელობას აძლევდა კომუნივერსიტეტებს და სხვა.

სვერდლოველთა მიმართვაში ცეკასადმი ნათქვამია, რომ ისინი დიდის ენერგიით შეუდგებიან პარტიულ მუშაობას და ლენინის ანდერძის ერთგულნი იქნებიან.

## რადიო ყოველ მხრიდან

### ინგლისის აგენტის გაძევება მექსიკიდან.

მექსიკის მთავრობამ გასცა განკარგულება, რათა გადასახლებულ იქნას მექსიკიდან ინგლისის საქმეთა რწმუნებული გემმისი. ოფიციალური ცნობაა, რომ გემისის მოქმედებით შეფერხებულ იქნა ინგლისსა და მექსიკას შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარების საქმე, ვინაიდან ის ყალბ ცნობებს აწვდიდა თავის მთავრობასო.

მექსიკის მთავრობამ ორჯერ მიმართა ინგლისის მთავრობას უკან გაეწვია გემმისი, მაგრამ ეს მან არ შეასრულა. გემმისმა უარი განაცხადა წასვლაზე და თავი შეაფარა ინგლისის მისიას.

მთავრობამ შეუწყვიტა მისია ს სატელეფონო კავშირი და ხელს უშლის გემმისს სურსათის მიღებაში, რათა აიძულოს ის მოშორდეს მისიას.

## შვეიცარია.

### საერთაშორისო კონტრ რევოლიუცია.

ჩეხო სლოვაკიის მრეწველთა გაზეთ „ტრიბუნა"-ს ცნობით ჟენევაში მოწყობილია საერთაშორისო ლიგა კომინტერნის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ლიგა აპირებს მოიწვიოს პარიზში საერთაშორისო ყრილობა.

## ნორვეგია.

### ფაშიზმი ნორვეგიაში.

ნორვეგიაში ძლიერდება ფაშიზმი შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: „ერთიანი ფრონტი მოსკოვის წინააღმდეგ".

შემდგარია სამშობლოს მეგობართა კავშირი, რომლის მიზანია კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

## გლეხთა პარტიის ბელადის მოკვლა

ბულგარეთის გლეხთა პარტიის ხელმძღვანელი პეტკოვი მოკლულ იქნა უცნობი პირების მიერ.

## ძლიერი გრიგალი.

### კრასნოვ კშაისკი.

მარიისკის მხარეში მძვინვარებდა ძლიერი გრიგალი წვიმათა და სეტყვით. დახოცილია მრავალი საქონელი და დანგრეულია სახლები.

## ვემზადოთ კოოპერაციის დღისათვის.

5 ივლისს ჩვენ მეორეჯერ ვიდღესასწაულებთ კოოპერაციის საერთაშორისო დღეს.

ამ დღისათვის კომუნისტურმა პარტიამ გადაისროლა ლოზუნგი „არც ერთი პროფკავშირის წევრ არ უნდა დარჩეს მუშათა კოოპერაციის გარეშე".

ამ ლოზუნგს ჩვენ უნდა დაურთოთ არც ერთი წითელი მოლაშქრე და წითელ ჯარში მომუშავე არ უნდა დარჩეს სამხედრო კოოპერაციის გარეშე და უნდა შემოკრბეს მის გარშემო.

კოოპერაცია მუშათა კლასის ხელში უტყუარი იარაღია სოციალიზმის განსახორციელებლად.

განსაკუთრებით დიდი როლი აქვს დღეს დაკისრებული კოოპერაციას შინაურ ბაზრის დაპყრობის საქმეში რითაც მან მჭიდრო ურყევი კავშირი უნდა გააბას მუშებსა და გლეხებს შორის. კოოპერაციამ კისერი უნდა მოსტეხოს კერძო ვაჭარს, კერძო კაპიტალს და გახდეს სრული ბატონი პატრონი სოფელსა და ქალაქს შორის საქონლის გაცვლა გამოცვლისა.

ასეთია საერთოდ ჩვენი კოოპერაციის ამოცანები დღეს.

და რამდენად კოოპერაცია შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, იმდენად წინ წავა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის საქმე, იმდენათ ბოლო მოეღება „ნეპის" ყოველგვარ საშიშროებას.

ამიტომაც ასეთი დიდი ამოცანის შესასრულებლად კოოპერაციას უნდა დაეხმაროს მთელი მშრომელთა მასები.

კერძოდ ჩვენ სამხედრო კოოპერაციას კი წითელი ჯარი.

წითელი სამხედრო კოოპერაცია არის ის მტკიცე ხიდი, რომლის საშვალებით უმთავრესად შეიძლება კოოპერატიული იდეების გავრცელება სოფლად.

სახედრო კოოპერაცია აგრეთვე უზდის სასოფლო კოოპერაციას წითელ სპეც კოოპერატორებს. ყოველივე ამის გარდა სამხედრო კოოპერაციაც ღებულობს ენერგიულ მონაწილეობას კოოპერაციის ბრძოლაში კერძო ვაჭრობასთან.

სამხედრო კოოპერაცია—მუშათა კოოპერაციის თანამოაზრე და თანამებრძოლია.

ამიტომ საჭიროა ფართო მშრომელთა მასებმა, უმთავრესად წითელ მოლაშქრეებმა და ყველა წითელ ჯარში მომუშავეებმა ენერგიული დახმარება გაუწიოთ ჩვენს სამხედრო კოოპერაციას, გაუმაგროთ მას ზურგი. არ კმარა მარტო უარყოფითი მხარეების აღნიშვნა და კრიტიკა, საჭიროა დახმარებაც, აქტიური მუშაობა კოოპერაციაში.

უპირველეს ყოვლისა კი კოოპერაციის წევრად გახდომა.

ჩვენი დივიზიის მომხმარებელმა საზოგადოებამ აქედანვე უნდა შეუდგეს კამპანიის დაწყებას ამ დღის ჩასატარებლად.

საჭიროა ახალ მოსულებში კოოპერაციის მნიშვნელობის და მის ამოცანების ფართოდ გაშუქება.

საჭიროა, რომ ამ დღისათვის არც ერთი წითელი ჯარის მუშაკი და წითელი არმიელი არ დარჩეს ჩვენი კოოპერაციის რიგების გარეთ.

ამსაქმეში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ თვით ადგილობრივად პასუხისმგებელ მომუშავეებმა.

—ე.




## პირველ ლეგიონის ახალ-წვეულები ენერგიულად მუშაობენ.

როდესაც ხედავ პირველ ლეგიონის ახალწვეულების დამოკიდებულებას თავის მოვალეობისადმი კმაყოფილების ღიმით გეფინება სახე. რამდენი ენერგია, წითელ ყაზარმებისადმი სიყვარული და საქმისადმი გულმოდგინეობა ყოფილა ამ ჯანღონით სავსე სახე, გახუხულ ჩვენი ქვეყნის სოფლებიდან მოსულ არწივებში.

აღტაცებაში მოდიხარ მათი მოქმედებით. განსაკუთრებით როგორ არიან დაინტერესებული განვითარებით, ცოდნით. რამოდენიმე ათეულებისაგან შემდგარი ჯგუფები განსაკუთრებული გულმოდგინეობით უსმენენ მასწავლებლებს და სცდილობენ ერთი სიტყვა არ გაუშვან მხედველობიდან.

### ასეთი მხედრებით მტრებს იოლად დავამარცხებთ.

მარტო წერა კითხვით და გონებრივი განვითარების შეძენით არ არიან დაინტერესებული ჩვენი ახალგაზრდა მხედრები. ისინი ასეთივე და თითქმის გაცილებით უფრო ენერგიულად ეკიდებიან სამხედრო სწავლების საქმეს. მათ კარგათ აქვთ შეგნებული საბჭოთა კავშირის განსაკუთრებული მდგომარეობა და ჩვენი მტრების სიმრავლე. ტყვილა არ ეწოდება მათ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წითელი მხედრები. ჯერ-ჯერობით ღირსეული მემკვიდრე დაეპატრონა ამ სახელს. ამის თავდებია პირველი ლეგიონის ახალწვეულთა მუშაობა.

გაუმარჯოს ჩვენს ახალწვეულებს და საბჭოთა ხელისუფლებას!

**გ. ბუაჩიძე.**

## როგორ ხვდება 1902 წ. დაბადებულები ჯარში გაწვევას.

(თბილისის მაზრა)

ქალაქ თბილისში და მის მაზრაში გაწვევა თითქმის დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. ასეთი ადვილი ფაქტები იშვიათია როდესმე წამოსულიყოს ახალგაზრდობა ჯარის რიგებისაკენ. მუშურ-გლეხურმა ინსტინქტმა დაბადა სრული შეგნება ახალწვეულებში, თუ რისთვის უნდა გაწვეულიყვნენ წ. ჯარში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირველად მიმღებ კომისიაში გამოცხადნენ მუსულმანები.

ისინი ასეთ მოვლენებს ჩვეულნი არ ყოფილან და გვეგონა გაწვევას უსიამოვნებით შეხვდებოდნენ.

ეს ასე არ მოხდა. ისინი გამოცხადნენ სრული შეგნებით და ისეთივე მხიარულებით, როგორც ქართველები, სომხები, რუსები, გერმანელები, ბერძნები და ოსები. დეზერტირობას ადგილი არ ქონია. ყველა ახალგაზრდა თავის დროზე ცხადდებოდა, სრულიად განთავისუფლებულმა ან და შეღავათიანმა ახალ გაზრდობამ ბევრი დარიგება მიიღო მიმღებ კომისიასთან არსებულ აგიტპუნქტში. ისინი გააცნეს, საბჭოთა ხელისუფლებას, წითელ ჯარს, უცხო ქვეყნებს, ჩვენი პარტიის ამოცანებს და სხვა. უხვად დაურიგდათ მათ გაზეთები „წითელი არმიელი", „მიწის მუშა", „მუშა", „სპარტაკელი" და სხვა ლიტერატურა საერთო განმანათლებელ და პოლიტიკურ თემებზე.

მრავალ შეკითხვებიდან ირკვევა, რომ სოფლად კულტურული მუშაობა კუდ ნაბიჯით მიდის. გაზეთმა „მიწის მუშამ" ბევრი დააინტერესა. მისი გამოწერა ყველას სურს, მაგრამ გამომწერი ხელმძღვანელი არა ყავთ. საჭიროა ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება.

**მამულაშვილი.**

## გაერთიანებული მეთაურთა სკოლა პარტმუშაობის ფრონტზე.

საბანაკოდ გასვლამ პარტიული მუშაობა უფრო გააცხოველა ჩვენს სკოლაში. ხშირად ხდება კომუჯრედების ღია სხდომები პარტიული სკოლის კურსანტებთან ერთად. უფშემადგენლობაც დიდ გულისყურს იჩენს პოლიტ მუშაობისადმი.

7 ივნისს შესდგა ჩვენი სკოლის კომუჯრედის ღია კრება. სხდომას ჩვეულებრივად დაესწრნენ როგორც უფშემადგენლობა, ისე პარტსკოლის კურსანტები.

სხდომის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:, 1) საერთაშორისო მდგომარეობაზე მოხსენება, 2) სამოსწავლო ნაწილის უფროსის მოხსენება საზაფხულო მეცადინეობის შესახებ და 3) მიმდინარე საკითხები.

### საბჭოთა კავშირი იმდენად ძლიერია, რომ მას ადვილად ვერავინ დაჩაგრავს.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. ხავთასი. ის მოკლედ შეეხო საბჭოთა კავშირის დღევანდელ დამოკიდებულებას ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისადმი, აღნიშნა ინგლისთან მოლაპარაკება, გერმანიასთან მომხდარი კონფლიქტი და იმედი გამოსთქვა, რომ საბჭოთა კავშირი იმდენად ძლიერია, რომ უბრალოდ თავს არავის შეაბღალვინებს. მოხსენებამ გამოიწვია შეკითხვები რომელთაც სათანადო პასუხი გაეცა.

საზაფხულო მეცადინეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. სლინკო. ის ვრცლად შეეხო წინმდებარე საზაფხულო მუშაობას და განაცხადა, რომ კურსანტებისათვის პრაქტიკული მუშაობის სფეროში დამტკიცებულია დღიურად 8 საათი.

ამ საათებშივე შედის ყოველგვარი სწავლება, როგორც არის ჯგუფის სწავლება, საინსტრუქტორო მომზადება, თოფით სროლის საქმე, ტყვიამფრქვევით და სხვა. ყველაზე მეტი დრო აქვს დათმობილი პოლიტიკურად განვითარების საქმეს, განსაკუთრებით უფროს კურსანტებისათვის.

მოხსენება მიღებული იქნა ცნობად.

კრებამ მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე. გაირჩა წამოჭრილი მიმდინარე საკითხებიც და კრება ნასიამოვნები დაიშალა.

**ა. ჭკადუა.**

## ცალკე საგაუბიცო ბატარეის ახალწვეულებში.

დაცარიელებული წითელი ყაზარმები კვლავ შეივსო ახალ წვეულებით. ნაწილში ისევ დაიწყო გაღვიძებული მუშაობა. ახალ წვეულებს ეტყობათ სიცოცხლე, ყოველგვარ დასაქმების დროს ერთმანეთს ეჯიბრებიან ამა თუ იმ დავალებებს კარგად ასრულებაში.

ამ მოკლე ხანში ჩვენს ბატარეიაში უკვე დაარსდა ხუთი შესანიშნავი წრე, როგორც არის: პოლიტწრე, ლიტერატურული წრე, სამხედრო სამეცნიერო წრე და სხვა, რომლებშიდაც მუშაობა დაიწყება 17 ივნისიდან.

წრეებში დიდი ენერგიული მუშაობა გაჩაღდება. მომავალში როგორც განზრახულია უთუოდ მოეწყობა კიდევ სხვა წრეებიც, რომელთა დაარსებისთანავე დაიწყება საერთო ხალისიანი მუშაობა.

**სამხკორი.**

## პირველ ლეგიონის ახალ წვეულებში.

დილაა. პირველ ლეგიონის წითელ ყაზარმასთან ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილან ახლად წვეული წითელ არმიელები და გაცხარებული ბაასობენ.

— ბიჭო თურმე მართალი ყოფილა ჩვენ რომ გვიჩივოდნენ, რომ ჯარში ნამდვილი მუშურ-გლეხური დისციპლინაა. არ უყურებ უფროსები როგორ თავდაბლათ და მზრუნველობით გვეკიდებიან.

— ნამდვილი ამხანაგობა ყოფილა რაღა—მოისმის ერთი წყებიდან სადაც შეუყრიათ თავი კახელებს.

— ჰოდა, ჩვენში რომ ქალაქიდან აი ვიღაც მოვიდნენ იმათაც ისე გვითხრეს რომ ჯარში უფროსები მეტი წილი მუშების და გლეხების შვილებიდგან არისო.

ვინ იცის რას არ იტყოდენ ბაასით გართული არმიელები, რომ მათი ყურადღება არ დაერღვია განკარგულებას:

— „ადექით-სმენა"!

— ყველანი სდგებიან ფეხზედ. ამ დროს გამოჩნდება ქ. დივიზიის სამხკომი, თენგიზი.

— ყველა ღიმილით ხვდება მას. ამხ. თენგიზი ეალმება ახალ წვეულებს შემდეგ თავისებური სიხალისით ეკითხება წითელ არმიელს.

— შენი გვარი ამხანაგო!

— ამყოლაძე, ბატონო!

— ბატონის თქმა არაა საჭირო!

— სადაური ხარ?

— კახელი-იყო პასუხი.

— წერა-კითხვა იცი?

— არ ვიცი.

— მაშ აქ შეგასწავლით და სახლში რომ დაბრუნდები ყველაფერი გეცოდინება.

— რომ მოვდიოდი, მაშინაც ასე ამიხსნეს რომ „გასწავლიანო".

— შენი გვარი ამხანაგო! მიმართა შემდეგს—რომელსაც მოწყენილობა ეტყობოდა.

— ჩხეიძე.

— აზნაური ხარ?

— არა ღარიბი ნააზნაურალი. ასტყდა არმიელებში საერთო სიცილი.

— შენი გვარი ამხანაგო.

— ხახუტაშვილი.

— როგორ მოგწონს ჩვენი ყაზარმა და მისი წესები?

— ძალიანაც მომწონს.

— საჭმელი როგორი გეძლევათ.

— ისეთი მსუქანი ქაში და ბორშია... რომა!...

— თქვენში ეკლესიები არის კიდევ?—შეეკითხა ერთს, რომელიც როგორც ეტყობოდა დასავლეთ საქართველოდან უნდა ყოფილიყო.

— ეკლესიები რა ხანია სკოლათ ვაქციეთ.

— მაშ ღმერთი არა გწამს ჰა?

— არა მწამს, ან რა სარწმუნებელია, რაც მამა ჩემი ატყუა ღვდლებმა ისიც საყოფი იყო. ჩვენ ახლა საკმარისად შევიგენით რომ „ღმერთი არ არის და არც ყოფილა".

— მამა შენს სწამს ეხლა ღმერთი?

— მამა ჩემი? რა ხანია საიქიოს გავისტუმრე.

— ასტყდა საერთოთ სიცილი. ახალი წვეულები მეტად გაამხიარულა ამხ. თენგიზის ასეთმა მეგობრულმა შეკითხვებმა და დიდათ კმაყოფილი დარჩენ.

**დ. ჭანკვეტაძე.**

## რაზედ ჰვწერენ
### „როდის გაიღვიძებს"

1-ლ ქარ. მსრ. ლეგიონში სოჯახო ულუფის ფული აპრილის თვის უკვე ორი კვირაა, რაც დარიგდა. მოლარეს და, რასაკვირველია, ლეგიონის სამნეო ნაწილს, დღემდის არ წარუდგენია მომარაგების უფროსისთვის დარიგებული ფულის ანგარიში, რათა მიეღოთ მაისის და ივნისის ფული. ამის მიზეზად ასახელებენ ვითომც ფული სულ ყველასთვის არ დაურიგებიათ. დღეს, როდესაც ქართული ჯარის ნაწილების უმრავლესობას მიღებული აქვს აღნიშნული თვეების საოჯახო ფული, პირველ ლეგიონის უფ-პოლიტშემადგენლობა გამონაკლისშია და შეჰყურებს, თუ როდის მოისურვებს სამნეო ნაწილი უფშემადგენლობისათვის მაისის თვის საოჯახო ფულის გამოწერას.

**წკრიალა.**

## ცხენი.

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ცხენი კაცის კარგი მეგობარი და თანამშრომელი გამხდარა ცხოვრებაში.

მრავალი საუკუნოების განმავლობაში ჩუმად, მოთმინებით და კეთილსინდისიერად ეწევა იგი ულელს კაცობრიობის სასარგებლოდ და ხშირად, საჭიროებისდა მიხედვით, საკუთარი სიცოცხლესაც კი მსხვერპლად მიაქვს მას ადამიანის გასამარჯვებლად როგორც, მაგალითად, საომარი ფრონტზე, ბრძოლის ველზე და სხვაგან. თუ კაცი დააფასებს ცხენის ასეთ შრომას, რომლითაც იგი ფართოდ სარგებლობს თავის საკეთილდღეოდ სხვა და სხვა დარგში, იგი ვალდებულად გაიხდის თავის თავს ამ თავის ერთგულ და უენო მეგობარ ცხენის არსებობისათვის და ჯეროვანად მოვლისათვის შესაფერისად იზრუნოს, რადგან ცხენის არსებობა და შრომის უნარი სავსებით დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ იმაზე. თუ როგორ ეპყრობა მას ადამიანი.

თანამედროვე ხანაში საზრდოს ქონება-უქონლობას და ბევრ სხვა ასეთ რამეს ერთნაირად განიცდის როგორც ადამიანი, ისე ცხენი, მაგრამ უფრო გაჭირვებული მდგომარეობა ცხენისა იმაში გამოიხატება, რომ ამ უკანასკნელს, საკვების უქონლობასთან ერთად, ადამიანი ხშირად ვერ, ან არ აქცევს იმ ჯეროვან ყურადღებას, რომელიც მას დაუმსახურებია და ურომლისოდაც იგი ვერც იარსებებს და ვერც იმ სარგებლობას მოუტანს კაცს, როგორიც უნდა მოუტანოს.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს ცხენისადმი ჯეროვანი ყურადღება სასოფლო მეურნეობაში და კერძოდ ჩვენს წითელ არმიაში?

**— მის წესიერ მოვლაში და გამოკვებაში.**

ცხენისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მისი თავ-თავის დროზე გაწმენდა-გასუფთავება და კარგ დარში თავლიდან გარედ გამოყვანა. ცხად და უდავო დამამტკიცებელ საბუთად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ ქეცი, ეს შედეგი გაუწმენდლობისა, მხოლოდ იმ სოფლების და სამხედრო ნაწილების ცხენებს ემართებათ, სადაც ამ უკანასკნელებს ჯეროვანი წმენდა არა აქვთ. ხოლო იმ სოფლებში და სამხედრო ნაწილებში, სადაც ცხენებს კარგად და ყოველ დღე სწმენდავენ, ქეცზე და სხვა ასეთ გადამდებ და არა გადამდებ ავადმყოფობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, და ცხენები ყოველთვის კარგი, ჯანსაღი და გაბზიალებული არიან.

ცხენი უნდა იწმინდებოდეს გარედ ცხენების მისაბმელებზე, ჩოთქით, მაუდის ნაჭერით, ჩალის ფუჩჩით და არასოდეს სამურველით. ცხენის გაწმენდას, როდესაც იგი საკვებსა სჭამს, არასოდეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. გაწმენდასთან ერთად ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ცხენის ფლოქვების მოვლას, რაიც უნდა გამოიხატებოდეს ამ უკანასკნელების ცხენის მუშაობა—მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ დაბანვაში, ფლოქვის ისრის გვერდზე მდებარე ღარების ჩხირით გაწმენდაში და საზოგადოდ სწორად დაჭედვაში. რაც უნდა კარგი ცხენი იყოს თუ მას ფლოქვები არ უვარგა, ის ცხენი მაინც ცხენად არ ვარგა და სწორედ ამაზედ არის ნათქვამი, რომ **„არ არის კარგი ფლოქვი, არ არის კარგი ცხენიო".**

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

ვეტექიმი ფირეიშვილი.

## სამხედრ. საქმე

### ქიმიური მოგერიება სვენების დროს.

ბინებზედ და ბინა ბანაკად დალაგებულ ჯარზედ მოწინააღმდეგეს შეუძლიან ქიმიური თავდასხმა მოახდინოს ჰაეროპლანებიდან ქიმიურ ყუმბარების ჩამოყრით. სოფლად მოთავსებულ ჯარის ნაწილებმა სოფელი ისე უნდა შენიღბონ, რომ სოფლის გარეგანი სახე და ცხოვრება ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ვითარებისაგან არ განირჩეოდეს.

ნაწილების უფროსთა შემადგენლობიდან ინიშნება ერთ-ერთი, რომელსაც ამ სოფლის ქიმიურ მოგერიების უფროსობა დაევალება.

იგი დაემორჩილება კომენდანტს. თუ ნაწილში ქიმიის გამგე იმყოფება, მაშინ ამ მოვალეობას იგი ასრულებს. ისინი მოაწყობენ ჰაერის საწინააღმდეგო თვალთვალის სამსახურს; მოაწყობენ შთანგის (სიგნალიზაციის) სამსახურს; სასანიტარო წერტების, შტაბის, ტელეფონის და სხვათა შენობებს მოაგვარებენ ქიმიურ თავდაცვისათვის; თვალყურს ადევნებენ, რომ ყოველ წითელ-არმიელს ჰქონდეს პირბადე და, ამას გარდა, უნდა სათანადო ზომები იქმნეს მიღებული, რათა პირბადეებით მომარაგებული იყვენ აგრეთვე სოფლის მცხოვრებნიც; პირბადეების ხმარების უცოდინარებს უნდა შეასწავლონ; მომწამლავ ნივთიერებით დატვირთული ყუმბარების ჩამოყრის დასრულების შემდეგ, სოფელი აირისაგან უნდა გასწმინდონ განსაკუთრებულმა გუნდებმა.

მუდამ მოსალოდნელი უნდა იყოს, რომ მოწინააღმდეგე ხარდალის აირიან ყუმბარებს დაუშენს სოფელს, რისთვისაც საჭირო იქნება ჯარისა და სოფლის მცხოვრებთა სოფლიდან დროებით გაყვანა, ამასთან სხვა და სხვა ნაწილებს თავთავიანთი ადგილები და მისადევარი უნდა ეჩვენოს, ხარდალის აირის მოსასპობად ქლორის კირის მარაგი საჭიროა იქონიონ.

როდესაც ჰაეროპლანებიდან ჩვეულებრივ მომწამლავ ნივთიერებით (ფოსგენის ტიპისა) დატვირთული ყუმბარებია ჩამოყრილი, მაშინ ამ ადგილების, ქუჩების და მოედნების გასაწმენდათ განსაკუთრებულ ზომების მიღება საჭირო არ იქნება. ის ბინები კი, სადაც აირი შევა, უნდა გაიწმინდოს ბინის გათბობით და ჰაერის გაწმენდით. სოფელში მოთავსებულ გარნიზონის უფროსი მოვალეა მიიღოს ყოველი ზომა ჰაერიდან თავდასხმის საწინააღადეგოთ და თვალი ადევნოს ქიმიურ მოგერიების სამსახურის მიზანშეწონილ და მართებულ წარმოებას. ამისათვის უნდა იყოს გამოყენებული: საავიაციო რაზმები, საზენიტო ქვემეხები და ტყვიაფრქვევები, თუ კი, რასაკვირველია, ყველა ეს ხელთ ექნებათ.

უფროსთა შემადგენლობა მოვალეა თვალყური ადევნონ ქიმიურ მოგერიების სამსახურის მართებულად ჩატარებას. ერთდროულად უნდა ყოველი ზომა მიიღონ სროლის დროს პანიკის შესაწყვეტად.

გ. ბ—შვილი.

## ახალი ამბები

— **მოსავალი გორის მაზრაში.** წელს გორის მაზრაში ძლიერ ცუდი მოსავალი იქნება პურის. განსაკუთრებით დაზარალდა ტირიფონის ველი და ლიახვის ხეობა.

— **ექსკურსია უფლის ციხეში.** 21 ივნისს განათლების მუშაკთა სახლის თაოსნობით ეწყობა ექსკურსია უფლის ციხეში. მსურველთ შეუძლიანთ პირობების გაგება და ჩაწერა აღნიშნულ სახლში დილის 8—11 საათამდე.

— **სიმინდის რჩილი სამეგრელოში.** სამეგრელოში გაჩნდა სიმინდის რჩილი, რომელიც მოსავალს დიდ ზიანს აყენებს, მიწ-მოქმედების კომისარიატი გზავნის ხელმძღვანელს რჩილთან საბრძოლველათ.

— **მოსავალი დუშეთის მაზრაში.** გამუდმებულმა გვალვებმა დუშეთის მაზრაში მოსავალი თითქმის სრულიად გაანადგურეს. ზოგიერთგან პურს თივათ თიბავენ.

— **ციებ-ცხელებასთან საბრძოლველათ.** ჯანმრთელობის კომისარიატის სანიტ-ეპიდემიურმა სექციამ გამოიმუშავა გეგმა ციებ-ცხელებასთან საბრძოლველათ. პირველ რიგში სამკურნალო ადგილები მოეწყობა სამეგრელოში, კახეთში, გურიაში, იმერეთში და ყარაიაზში.

— **ტანთვარჯიშობის კურსები.** ფიზიკური კულტურის უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა დაარსოს თვენახევრიანი კურსები ფიზიკური კულტურის ინსტუქტორთათვის.

— **საბავშო ბაღის კოჯორში გადატანა.** ამხ. ლენინის ქარხანასთან არსებული საბავშო ბაღი ზაფხულის განმავლობაში გადაყვანილ იქნება კოჯორში.

— **კოოპერატიულ კონგრესზე** ცეკავშირმა გადასწყვიტა საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის მეთერთმეტე კონგრესზე გ გზავნოს თავისი წარმომადგენელი.

— **დახმარება გურიის რკ-გზას.** საჯევახო—ჩოხატაურის რკინის გზას დახმარების სახით, ცეკავშირმა გადასცა 500 მანეთი.

— **ლენინის ძეგლი ზაქათალაში.** ზაქათალაში თავისუფლების მოედანზე უკვე აღმართეს ამხ. ლენინის დიდი ძეგლი. ძეგლის პირდაპირ გაკეთებულია ტრიბუნა.

— **ფართალი გლეხობისათვის.** ბათომის გლეხთა დამხმარე კომიტეტმა შეიძინა 10.000 მანეთის ფართალი გლეხობისათვის იაფ ფასებში დასარიგებლათ.

— **ეკლესიების შენობების აღრიცხვა.** ქალ. ალმასკომი შეუდგა იმ ეკლესიათა შენობების აღრიცხვას რომელიც ქალ. ალმასკომის საკუთრებას შეადგენს.

— **საფლავები სასეირნოთ.** ქალ. აღმასკომმა წინადადება მისცა საფლავების გამგეებს, რომ მათ საფლავები გაამშვენიერონ, იმდენად, რომ მოქალაქეთ შეეძლოთ იქ სეირნობა.

## ქართული დივ. სამხ. ტრიბუნალში.

**შ. შენგელიას საქმე.**

ა. წ. 17 მაისს ქართ. დივ. ტრიბუნალმა, თავმჯდომარის—გოგიჩაიშვილის და კოლეგიის წევრების—კუტუბიძის და გაბუნიას შემადგენლობით გაარჩია ცხენოსან ლეგიონის წითელი მოლაშქრის შალვა შენგელიას საქმე.

ბრალდებული შენგელია 23 წლის ახალგაზრდაა, ქუთაისის მაზრის, ს. ჰაგანიდან. ბრალად ედება: სამხედრო ნაწილის თავის ნებით მიტოვებაში ე. ი. იმ ბოროტმოქმედებაში, რომელიც გათვალისწინებულია ს. ს. კ. 211 მუხლის პუნქტ „ბ“-ეში,

საქმის გამოძიებამ გამოარკვია: ბრალდებული შენგელია 1923 წლის მაისიდან მსახურობდა ცხენ. ლეგიონში, იგი მივლინებული იყო ლეგიონის ფურნეში სამუშაოდ. ამა წლის მაისის 1-ლ რიცხვებში იგი გაშვებულ იქნა შვებულებაში შვიდი დღით.

შვებულების შემდეგ იგი თავის დროზე დაბრუნდა ნაწილში, მაგრამ 18 მაისს იგი ხელახლა გაიპარა სახლში და უკან გამოცხადდა 29 მაისს.

დეზერტირობის მიზეზათ მან დაასახელა ის გარემოება, რომ სახლში ბევრი საქმეები დარჩა გასაკეთებელი და კანონიერი შვებულების შემდეგ, რადგანაც მას არ გაუშვებდნენ, ამიტომ გაპარვა არჩია.

ბრალდება გათვალისწინებული ს. ს. კ. 211 მუხ. პუნქტი „ბ“-ეთი ტრიბუნალმა სცნო დამტკიცებულად და მიუსაჯა ბრალდებულ შენგელიას ექვსი თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება, სამასი მანეთის ღირებული ქონების კონფისკაციით.

## მეცნიერება და ტეხნიკა

### რადიო ტეხნიკის ბრწყინვალე მომავალი.

ჯერ კიდევ სულ ახალი მოვლენაა რადიო ტეხნიკა, მაგრამ მის წინაშე ეხლავე სდგება აუარება ბრწყინვალე პერსპექტივები.

შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ მომავალში ჩვენი ცხოვრების ხელმძღვანელობას ხელში აიღებს რადიო ელექტრონული ტალღები.

ამის ნიშნები უკვე საკმაოდ სჩანს.

მაგალითად, ამერიკაში ამ ჟამად სცდილობენ რადიო ელექტრონული ტალღების საშვალებით მოაწყონ მატარებლებისა და ტრამვაის მოძრაობა.

რადიო ელექტრონული ტალღები საუცხოვო გამოყენებას ჰპოვებს აგრეთვე ჰაერში ფრენის დროს. კაცობრიობა ალბად ჩქარა მოესწრობა იმ დროს, როდესაც რადიო სადგურებისაგან გამოშვებული ტალღები შეასრულებს მოტორებისა და სხვა და სხვა მამოძრავებელ მანქანების მოვალეობას.

ეს აზრი შესანიშნავად დაასაბუთა ამერიკის ელექტრო - ტეხნიკურ საზოგადოებაში წაკითხულ თავის ლექციაში პროფ. ტეილორმა. ტეილორი ამტკიცებს, რომ დიდ ჰაეროპლანებს რადიო-ტალღების საშვალებით შეეძლებათ საათში 185 ვერსის გავლა.

ყველა იმ საწვავი მასალის მარაგისა და მოტორის ზიდვის მაგივრად, რომელიც უმთავრეს სიმძიმეს წარმოადგენს ჰაეროპლანისათვის, შეიძლება მგზავრების წაყვანა. ათასი საცხოვრებელი ბინები გათბება რადიო-ტალღების საშვალებით. ავტომობილები იმოძრავებენ უმოტოროთ და ამნაირად ჰაერს აღარ გააფუჭებენ თავის კვამლით.

საინჟენერო მუშაობათა საგრძნობი ნაწილი, რომლებმაც ესოდენ ენერგიისა და სითბოს ხარჯვას მოითხოვენ, ამ ჟამად თამამად შესრულდება ამ ტალღების საშვალებით.

თუ აღნიშნულ ტალღების გამოყენებას სახალხო მეურნეობაში ამ ჟამად დიდ მნიშვნელობას მიაწერენ მომავალში, ამერიკაში ეს საკითხი დღის წესრიგში სდგას.

კერძო საქმეში რადიო ტეხნიკა კი მთელი გადატრიალების შანსებს იძლევა. ამ ჟამად ამერიკაში 56 გაზეთს აქვს თავისი რადიო სადგურების განყოფილებები ყველა ისინი იმყოფებიან განსაკუთრებული რედაქტორის გამგებლობის ქვეშ. ამნაირად ახალი ამბები წარმოუდგენელი სიჩქარით გადაეცემათ თავის მილიონიან აბონენტთა რიცხვს. რადიო ტალღების ასეთი გამოყენების გამო, უნდა შეიცვალოს თვით გაზეთის ტეხნიკაც. გაჩნდება გაზეთების განსაკუთრებული ტიპი, რომელსაც თავის გასავრცელებლად არ დასჭირდება არც ქაღალდი, არც სტამბები და სხვა. უდიდეს როლს ითამაშებს რადიო ელექტრონული ტალღები აგრეთვე დანაშაულის ჩადენის განზრახვისათვის სათანადო დროზე გაგების საქმეში. ამერიკაში უკვე გამოვიდა და იყიდება ბაზარზე ასეთი ტიპის აპარატები. ეს აპარატები მეტად მცირე მოცულობის არიან და სულ ადვილად შეიძლება მათი ჯიბით ტარება.

მაგრამ ამაზე შემდეგ.

**შეიხ.**

## სასოფლო მეურნეობა.

### ზეთის მომცემი მცენარეულობა.

სხვა და სხვა სასარგებლო მცენარეთა შორის ბევრია ისეთი მცენარეულობა, რომლებიც სხვა სარგებლობასთან ერთათ იძლევა ზეთს. ასეთია ბამბასელი, კანაფი, მდოგვი, აბუსალათინი, მზის უმზირა, ხაშხაში, ძალგამი, ზეთის ხილის ხე და სხვ. ზეთი უმთავრესათ არის თესლში. ამასთანავე სელი, კანაფი და ბამბა იძლევიან საქსოვ მასალას. ამრიგათ ეს მცენარეები ადამიანისათვის ორგვარათაა სასარგებლო. მცენარეულობის ზეთი სხვა და სხვა მიზნით იხმარება. პირველ ყოვლისა ზეთი ერთი საუკეთესო საკვებია ადამიანისათვის. ზოგი მცენარის ზეთი თავისი ხარისხით საქონლის ქონსაც სჯობია. ასეთია მაგალითათ მზესუმზირას, მდოგვის, ბამბის და ხაშხაშის ზეთი.

საჭმელის გარდა ზეთს ხმარობენ ბოსტნეულისა და თევზეულობისაგან კონსერვების მოსამზადებლათ.

ზემოხსენებულ მცენარეულობის ზეთს მემანქანეობაშიც ბლომათ ხმარობენ. ზეთს უსვამენ მანქანა— იარაღებს და მათ ნაწილებს ჟანგისაგან დასაფარავათ.

ზეთს ხმარობენ საპნის დასამზადებლათაც. ამავე ზეთს, მაგრამ კარგათ დაწმენდილ-განთავისუფლებულს ხმარობენ სამკურნალოთ (წასასმელათ, სასაქმებლად და სხვ.) და ამ მიზნით ხშირათ ურევენ სხვა და სხვა წამლებში.

თესლიდან ზეთის გამოხდა უნდა მანქანებით ან ხელით. სხვა და სხვა მცენარის თესლში ზეთის რაოდენობა ერთნაირი არ არის. საშუალოთ კი ზეთი უდრის თესლის წონის ერთ მესამედს, ნაჭუჭს რომელიც რჩება ზეთის გამოხდის შემდეგ ეწოდება კოპტონი. მას ხმარობენ საქონლის საკვებათ. კოპტონი ნოყიერი საკვებია. კოპტონი ქატოზე უფრო მდიდარია საკვებ ცილოვანი ნივთიერებებით ერთნახევარჯერ და ჭვავის პურზე სამჯერ. ამასთანავე კოპტონში ცხიმი 10—12 პროცენტამდეა, ქატოში კი 3 პროცენტამდე. ზემოხსენებულიდან აშკარათ სჩანს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ზეთოვან მცენარეებს ადამიანისათვის.

**მეურნე.**

## განცხადება

არსდება ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალურ კლუბთან დრამატიული, მომღერალთა და პოლიტ წრეები, რომელთაც უხელმძღვანელებს მცოდნე პირები. მოუწოდებთ წითელ არმიელებს ჩაებან ხსენებულ წრეებში სამუშაოთ.

ჩაწერა შეიძლება კლუბში, წრეთა ორგანიზატორთან.

## განცხადება

ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალური კლუბი ამით აცხადებს, ყველა წითელ-არმიელების საყურადღებოთ, რომ საზაფხულო საგარნიზონო კლუბში, რომელიც მოთავსებულია პლეხანოვის ქუჩაზე ქალაქის მთავარ საავადმყოფოს პირდაპირ **მათ აქვთ უფლება უფასოთ შესვლისა.**

ნ, დ. ს. კ. ... 1060 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხის გებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.